03.10.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეშვიდე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- **ღია მმართველობის პარტნიორობის სამი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მიმოხილვა.**
  - მაღალი დონის შეხვედრა
  - ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტის შეხვედრა
  - OGP-ის სამუშაო ჯგუფებსა და ქვეკომიტეტებში საქართველოს მონაწილეობა
  - დაგეგმილი სამომავლო ღონისძიებები
- **ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.**
  - გეგმის დამატებითი ვალდებულების მოკლე მიმოხილვა
  - გეგმის შესრულების შეფასების ციკლის მოკლე მიმოხილვა
    - *სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი*
  - დონორთა ჩართულობა ღია მმართველობის ინიციატივის ხელშესაწყობად
  - ინფორმაცია შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის (IRM) პროცესის შესახებ *ლაშა გოგიძე, საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის IRM მკვლევარი*
- **ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია** (ვიდეო რგოლის ჩვენება).
- **ფორუმის შეხვედრების ინტენსივობაზე შეთანხმება.**

2. ღია მმართველობის პარტნიორობის სამი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მიმოხილვა

ფორუმის მეშვიდე სამუშაო შეხვედრის პირველი ნაწილი დაეთმო ღია მმართველობის პარტნიორობის სამი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მიმოხილვას, კერძოდ, ფორუმის მომხსენებელმა ქ-ნ რუსუდან მიხელიძემ ისაუბრა OGP-ის მაღალი

დონის შეხვედრასა და მმართველი კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელსაც ახლად არჩეული წევრები (მათ შორის, საქართველო) დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ.

ქ-ნ მიხელიძემ ფორუმის წევრებს ის საკითხები გააცნო, რომლებიც კომიტეტის სხდომაზე იქნა განხილული და რომლებზეც ჯერ კიდევ მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. განხილულ იქნა OGP-ის ქვეკომიტეტებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს წარმომადგენელთა მოსაზრებით, სასურველია, საქართველო შეუერთდეს გამოცდილების გაზიარებისა და მხარდაჭერის ქვეკომიტეტს (Peer Learning and Support Subcommittee), რათა კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს საქართველოსა და სხვა OGP-ის წევრ სახელმწიფოებს შორის და გაიზარდოს მათთან გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს OGP-ის სამუშაო ჯგუფების[1] შესახებ და მზადყოფნა გამოთქვეს, სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ უწყებებს მხარდაჭერა გაუწიონ ჯგუფებში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებში. საბიუჯეტო გამჭვირვალობის სამუშაო ჯგუფთან დაკავშირებით ინტერესი გამოხატა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა, ქ-ნ მანანა შურღულაიამ. აღნიშნულ საკითხზე ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს შესყიდვების სააგენტოს.

ქ-ნ მიხელიძემ ასევე ისაუბრა ღია მმართველობა საქართველოს ფარგლებში დაგეგმილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამომავლო ღონისძიების შესახებ, რომელიც საქართველოში პარტნიორობის რეგიონული შეხვედრის გამართვას უკავშირდება. განხილულ იქნა პარტნიორობის მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა დაცულ იქნეს რეგიონული შეხვედრის მასპინძელი სახელმწიფოს მიერ. უწყებათა წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა სურვილი აქტიურად ჩაერთონ რეგიონული შეხვედრის თემატიკის შერჩევასა და დაგეგმვაში.

3. ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს წარმომადგენლებმა ფორუმს წარუდგინეს სამოქმედო გეგმის დამატებითი ვალდებულება, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაემატა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმას. მომსახურებების გამარტივებისა და იუსტიციის სახლის

[1] დღეისათვის საქართველო OGP-ის სამი სამუშაო ჯგუფის წევრია, ესენია: ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფი, ღია მონაცემთა სამუშაო ჯგუფი, საპარლამენტო ღიაობის სამუშაო ჯგუფი. პარტნიორობის ფარგლებში ფუნქციონირებს ასევე საბიუჯეტო გამჭვირვალობისა და მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის სამუშაო ჯგუფები.

ერთ სივრცეში მოქცევის მიზნით აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში გადავა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული დოკუმენტების დამოწმება, დამოწმებული დოკუმენტები კი გაიცემა სსიპ - იუსტიციის სახლის სივრცეში.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ციკლზე. პარტნიორობის სამდივნოსგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების პირველი ანგარიში უნდა მომზადდეს გეგმის იმპლემენტაციის დაწყებიდან ერთი წლის შემდგომ, ხოლო საბოლოო, შემაჯამებელი ანგარიში უნდა მომზადდეს გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო ელის პარტნიორობის სამდივნოსგან ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებით ზუსტი ვადების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

4. საქართველოს IRM მკვლევარის პრეზენტაცია

ღია მმართველობის პარტნიორობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის (IRM) მკვლევარმა საქართველოში, ბ-ნ ლაშა გოგიძემ ფორუმის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია IRM მიზნების, შეფასების მეთოდისა და კვლევის პროცესის შესახებ. ბ-ნ გოგიძემ ასევე ისაუბრა 2014-2015 წლების საქართველოს IRM ანგარიშის წარდგენის სხვადასხვა ეტაპსა და მათ ვადებზე. ფორუმის მომხსენებელმა ქ-ნ მიხელიძემ აღნიშნა, რომ განსხვავებით წინა წლების IRM-სგან, მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რომ 2014-2015 წლების IRM ანგარიშში ცალკე გვერდი უნდა დაეთმოს მთავრობის კომენტარებს ანგარიშში მოცემულ შეფასებებთან დაკავშირებით.

5. განხილვა ღია მმართველობა საქართველოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის, ღია მმართველობის ინიციატივის ხელშესაწყობად დონორთა ჩართულობისა და ფორუმის შეხვედრების ინტენსივობის შესახებ

ფორუმის შეხვედრის დასკვნითი ნაწილი დაეთმო 3 საკითხს: ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას, ღია მმართველობის ინიციატივის ხელშესაწყობად დონორთა ჩართულობის საკითხის განხილვასა და ფორუმის შეხვედრების ინტენსივობაზე შეთანხმებას.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმს წარუდგინა კლიპი ღია მმართველობა საქართველოს შესახებ, რომელიც მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტის (IDFI) დაკვეთით[2] და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით. ვიდეო რგოლი 2 ნაწილისაგან შედგება და დაგეგმილია მათი სოციალური რეკლამის სახით სატელევიზიო სივრცეში განთავსება. დაგეგმილია ასევე ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მოკლე და სრული ვერსიების დაბეჭდვა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რაც შეეხება დონორთა ჩართულობის საკითხს, ღია მმართველობის ინიციატივის მხარდასაჭერად, უწყებათა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საკითხი ღია მმართველობის ინიციატივის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი თემაა. ფორუმის წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე: გეგმით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ უწყებათა წარმომადგენლები თავიანთი ვალდებულებების ფარგლებში დონორთა მხარდაჭერის საჭიროების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს, რომელიც გააანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და გააცნობს ფორუმის წევრებს მომდევნო შეხვედრაზე, რათა ფორუმმა დაგეგმოს სამომავლო ნაბიჯები ამ მიმართულებით.

შეხვედრის ბოლოს განხილულ იქნა ფორუმის შეხვედრების ინტენსივობის საკითხი. სახელმძღვანელო წესების მიხედვით, ფორუმი იკრიბება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს. ვინაიდან 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების ინტენსიური პროცესი დასრულდა და უწყებებს სჭირდებათ გარკვეული დრო ფორუმის შეხვედრებზე ვალდებულებებთან დაკავშირებული პროგრესის წარმოსადგენად, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო გამოვიდა ინიციატივით ფორუმის შეხვედრები დაიგეგმოს მინიმუმ ორ თვეში ერთხელ. ინიციატივას მხარი დაუჭირეს დამსწრე უწყებათა წარმომადგენლებმა; შეთავაზება არ მოიწონა ფორუმის მომხსენებელმა ბ-ნ გიორგი კლდიაშვილმა და აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის შეხვედრების ინტენსივობა წევრი ქვეყნის ზოგად შეფასებაზე აისახება. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო კიდევ ერთხელ დააზუსტებს აღნიშნული საკითხის პარტნიორობის რეგულაციებთან შესაბამისობას და წინააღმდეგობის არარსებობის შეთხვევაში, ფორუმის შეხვედრები ორ თვეში ერთხელ დაიგეგმება.

6. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს OGP-ის საბიუჯეტო გამჭვირვალობის სამუშაო ჯგუფისა და მისი საქმიანობის შესახებ;
- გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიაწოდებენ ინფორმაციის მათ მიერ აღებული

[2] USAID-ის გრანტის ფარგლებში IDFI ახორციელებს ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის მხარდაჭერას.

ვალდებულებების შესრულების პროცესში დონორთა მხარდაჭერის საჭიროების შესახებ;

- ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო დააზუსტებს ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის შეხვედრების ინტენსივობის შესახებ OGP-ის ზოგად გაიდლაინს და ასეთთან შესაბამისობის შემთხვევაში, ფორუმის შეხვედრები დაიგეგმება ორ თვეში ერთხელ.

7. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთი ცანავა, გიორგი გვენეტაძე, ირმა ლოხიშვილი
სსიპ იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ნატა გოდერძიშვილი
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	ირინა აღაპიშვილი
სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	მანანა შურღულაია, ირაკლი გოლეთიანი, ნოდარ ხერხეულიძე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზურაბ აზნაურაშვილი
მთავრობის ადმინისტრაცია	ვახტანგ ბაჩიაშვილი
შინაგან საქმეთა სამინისტრო	შალვა ხაბულიანი
USAID საქართველო	სოფიო გურგენიძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	თამარ გზირიშვილი
ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	თამარა სართანია
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, ლევან ავალიშვილი, ნატა ძველიშვილი
IRM მკვლევარი	ლაშა გოგიძე
უზენაესი სასამართლო	თორნიკე გეწაძე
ცესკოს სწავლების ცენტრი	ნათია ზაალიშვილი